ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8022535

ნომერი: AR11147422

თარიღი : 11.06.2026

გაცემის თარიღი : 28.07.2026

გაცნობის თარიღი : 28.07.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლევან ალექსიძის ქუჩა, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კირკიტაძე პ/ნ 01013012659
- თბილისი პეკინის გამზ. N 27

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, ცეცხლმედეგი გამმიჯნავის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის, მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე , ლევან ალექსიძის ქუჩა, N 2, კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გამიჯვნას, ასევე ცეცხლმედეგი გამმიჯნავებისა და კარის ღიობის მოწყობას.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (საკადასტრო კოდი N 01.14.04.029.039.01.05.028 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882026337521 11/05/2026 ; ანაზომი და საპროექტო გეგმები; სართულის არსებული გეგმა საპროექტო არეალის მონიშვნით; ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა; “ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაის შესაბამისად მომზადებული საექსპერტო დასკვნა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე , ლევან ალექსიძის ქუჩა, N 2 , კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გამიჯვნას, ასევე ცეცხლმედეგი გამმიჯნავებისა და კარის ღიობის მოწყობის შესაძლებლობას.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან)1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.